საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 2 19 02658529

07/10/2019

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
(განყოფილების უფროსი)
ქალბატონ **თეონა ახალაშვილს**

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2019 წლის 7 ოქტომბრის N 60-011928054 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ განხილული იქნა ქალაქ თბილისში, ევგენი მიქელაძის ქუჩა N3ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.13.03.027.006) ბაგა-ბაღის შენობის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესახებ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია.

აღნიშნული პროექტის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის მოყვანის მიზნით გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი მოთხოვნები:

1. შენობების გარე ხანძრის ჩაქრობისათვის გათვალისწინებული უნდა იქნას გარე ხანძარსაწინააღმდეგო რგოლური წყალგაყვანილობა სახანძრო ჰიდრანტების მონტაჟით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ განაშენიანების უბანში არსებობს წყალგაყვანილობის ქსელი და ქსელზე დასაპროექტებელი შენობიდან 200 მეტრის რადიუსში უკვე დამონტაჟებულია სახანძრო ჰიდრანტი, შენობის გარე ხანძრის ჩაქრობისათვის ახალი სახანძრო ჰიდრანტის მოწყობა საჭირო არ არის.

2. განაშენიანების ტერიტორიაზე წყალგაყვანილობის არარსებობის შემთხვევაში, გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგება უნდა განხორციელდეს სახანძრო რეზერვუარის მოწყობის გზით და დადგენილი წესით განისაზღვროს მისი მოცულობა.

3. ვინაიდან ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები (დაცილება) შენობებსა და მეზობლად მდებარე შენობა-ნაგებობებამდე დამოკიდებულია ამ შენობა-ნაგებობების ცეცხლმედეგობის ხარისხსა და მათ ფუნქციურ დანიშნულებაზე, ხოლო წარმოდგენილ სამშენებლო დოკუმენტაციაში მითითებული არ არის მიმდებარე შენობა-ნაგებობები და არც მათი ხანძარსაშიში და ცეცხლმედეგობის ხარისხი, შესაბამისად არც მათ შორის არსებული კონკრეტული ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები, აუცილებელია ამ ინფორმაციის მოპოვება, რის შემდეგ

საქართველო, 0114, თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №83ა
ტელ: (+995 032) 2 41 44 79
ელ. ფოსტა: cepgeorgia@mia.gov.ge

№83a, V. Gorgasali str. Tbilisi, 0114, Georgia
Tel: (+995 032 2 41 44 79
E-mail: cepgeorgia@mia.gov.ge

ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი დასაპროექტებელ და სხვა შენობა-ნაგებობებს შორის განისაზღვროს სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებიც ადგენენ ამ მანძილებს.

4. გათვალისწინებული უნდა იქნეს შენობასთან მისასვლელი გზის მოწყობა სახანძრო ავტომობილებისათვის, სამშენებლო ნორმების და წესების შესაბამისად. სახანძრო ავტომობილების გასასვლელი გზების სიგანე და მანძილი გზის შიდა კიდიდან შენობის კედლამდე მიღებული უნდა იქნას სამშენებლო ნორმების და წესების შესაბამისად, ხოლო გზის საფარის კონსტრუქცია გათვლილი უნდა იქნას სახანძრო ავტომობილების დატვირთვაზე. ამ ზონაში დაუშვებელია შემოღობვის მოწყობა, ელექტროგადამცემი საჰაერო ხაზების გაყვანა და მწვანე ნარგავების რიგში დარგვა.

5. გათვალისწინდეს, რომ თუ სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნების შესაბამისად ბაგა-ბაღის შენობის სათავსოები დაცული უნდა იქნას ხანძრის ავტომატური ჩაქრობის სისტემით, შესაბამისად საჭირო გახდება შენობაში ან შენობის გარეთ ადგილის გამოყოფა ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის სახანძრო რეზერვუარისათვის და სატუმბო სადგურისათვის.

ასევე გათვალისწინებული იქნეს, რომ სამსახურს აუცილებლად მიაჩნია მშენებლობის ნებართვის გაცემის II სტადიის პროცესში შემუშავებული და განსახილველად წარმოდგენილი იქნას შენობის შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაპროექტების დოკუმენტაცია.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესახებ შესაბამისი დასკვნის მომზადებისათვის აუცილებელია მშენებლობის სანებართვო პროცესის I სტადიის მოთხოვნებიდან გამომდინარე განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებების შეტანა სამშენებლო დოკუმენტაციაში და კორექტირებული პროექტი წარმოდგენილი იქნეს მშენებლობის სანებართვო პროცესის მეორე სტადიაზე.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ვარშანიძე როინ

წერილის ნომერი: **18-01193173106**
თარიღი: **13/11/2019**
პინი: **9229**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა, თქვენი 2019 წლის 23 ოქტომბრის N60-01192962943 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (ტოპო. გეგმა; ა. სუპატაშვილის მიერ 2019 წლის 26 აგვისტოს გაცემული მწვანე ნარგავების ხარისხობრივი მდგომარეობის შეფასების საექსპერტო დასკვნა, საპროექტო ტერიტორიის და მცენარეების ამსახველი ზოგადი ფოტომასალა), რომლითაც მოქალაქე გოჩა მიქიაშვილის განაცხადის (AR1710556) საფუძველზე ითხოვთ შპს „თბილისის მწვანე სკოლას“ (ს.კ: 01.13.03.027.006) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, დიღმის მასივი, VI კვ, (ნაკვ.027/002); ს.კ.: 01.13.03.027.006)(სზ-6; შიდა კვარტალური ურბანული გამწვანება) III კლასის შენობა-ნაგებობის (ბაგა-ბაღი) განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების ეტაპზე, მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის (საექსპერტო დასკვნის, ტოპო. გეგმის) თანახმად, დაინტერესებული პირის მიერ მშენებლობის მიზნით, მოთხოვნილია ტერიტორიაზე განთავსებული 10 ძირი მცენარის მოჭრა/გადარგვა. კერძოდ, დაგეგმილია 4 ძირი დიდი დიამეტრის მქონე ცაცხვის ხის იმავე ტერიტორიაზე გადარგვა და 6 ერთეული ალვის ხის მოჭრა.

ვინაიდან მოცემულ საპროექტო ტერიტორიის ნაწილზე, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების პირველი პუხლის „ა. თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გრაფიკული რუკის მიხედვით, **ვრცელდება** თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკა (**შიდა კვარტალური ურბანული გამწვანება**), რომელზეც დატანილია ქალაქის ტერიტორიაზე არსებული და დაგეგმილი მწვანე ანდა სარეკრეაციო არეალები, შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიის იმ ნაწილში, სადაც გავრცელებულია შიდა კვარტალური და ურბანული გამწვანების ზონა, **სამშენებლო განვითარების შესაძლებლობას სამსახური არ განიხილავს.**

მოგახსენებთ, რომ დიდი დიამეტრის (25 სანტიმეტრზე მეტი) მქონე მრავალწლოვანი ეგზემპლარების ბუნებრივი გარემოდან ამოღება და ახალ ტერიტორიაზე გადატანა დაკავშირებულია ახალ გარემოსთან ადაპტაციასთან, რაც დიდი ალბათობით (ხის ზომიდან გამომდინარე) გამოიწვევს მწვანე ნარგავების სიცოცხლისუნარიანობის შეწყვეტას/გახმობას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც „დადგენილება“) 21^1-ე მუხლის საფუძველზე, აგრეთვე ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სამსახურს, მიზანშეწონილად მიაჩნია უცვლელად შენარჩუნდეს 4 ძირი ჯანსაღი, დიდი დიამეტრის მქონე ცაცხვის ხე (N4 -32.5სმ; N6-41.1სმ; N7-34.2სმ; N25-66.8სმ) იმავე ტერიტორიაზე.

აქვე დამატებით ინფორმაციის სახით მოგახსენებთ, რომ მწვანე ქალაქის კონცეფციით, მიზანშეწონილია, შენობების მორგება/ინტეგრირება მწვანე ნარგავებთან და არა პირიქით.

ამდენად, განმცხადებელმა ზემოაღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად უნდა დააკორექტიროს საპროექტო შენობა.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

